

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №GF-T/ET/S-457

ქ. თბილისი

22 ივნისი 2017 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ - ს/კ №211324351 (შემდგომში „შემსყიდველი“), ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე/გლობალური ფონდის პროგრამების დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის პაატა იმნაძის სახით, და მეორე მხრივ, ა(ა)იპ „ჯანმრთელობის კვლევის კავშირი“ - ს/კ №204977230 (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი დირექტორის მანა ბუნაშვილის სახით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა ელექტრონული ტენდერის საშუალებით (NAT170005196) განახორციელა - „აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის“ (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) (შემდგომში „GFATM“) მიერ დაფინანსებული „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფა“ პროგრამის ფარგლებში მომსახურების - ტუბერკულოზის მომსახურების განხორციელებაში ჩართული სამედიცინო პერსონალის გადამზადება ტუბერკულოზით დიაგნოსტირებულ პაციენტებში აივ ინფექციაზე ტესტირებასა და კონსულტირებაში (CPV80500000 - სატრენინგო მომსახურებები; CPV80561000 - პროფესიული მომზადება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში) შესყიდვა, რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება სატენდერო პირობების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება და მომსახურების ვადები

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 25,500.00 (ოცდახუთი ათას ხუთასი) ლარს (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“), რომელიც მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან და მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, გარდა დამატებული ღირებულების გადასახადისა.

3.2. მომსახურების ღირებულება მოცემულია პროექტის ბიუჯეტში (დანართი №1), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხორციელდება ხელშეკრულების დანართი №1-ში განსაზღვრული გეგმა-გრაფიკისა და ტექნიკური დავალების (დანართი №2) შესაბამისად.

3.4. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ გამოყოფილი გრანტით დაფინანსებული პროგრამა „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფა“ (საბიუჯეტო ხაზი: 48; TRC)

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიღება-ჩაბარების წინ განხორციელდება გაწეული მომსახურების ინსპექტირება, რომელსაც განხორციელებს ხელშეკრულების 5.1. პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

4.2. მიღება-ჩაბარების აქტებს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

4.3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისასთვის მიმწოდებელმა, უნდა წარმოადგინოს გაწეული მომსახურების წერილობითი ანგარიში ფაზების მიხედვით დანართი №1-ით (მომსახურების განხორციელების გეგმა-გრაფიკი) განსაზღვრული ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4. მიწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 4.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენა. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მიწოდებელს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ტუბერკულოზის პროგრამის კოორდინატორი ნინო ჩიქოვანი.

5.2. ინსპექტირება განხორციელდება, მიწოდებელის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი ანგარიშების განხილვის საფუძველზე;

5.3. ინსპექტირების ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

5.4. ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარდგენა, ფინანსური ხარჯის და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება მიწოდებელს.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო ანგარიშსწორება მიწოდებლის საბანკო ანგარიშზე, ფაზების შესაბამისად, მომსახურების ფაქტურად განხორციელების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღისა. ამასთან, მომსახურების 2-3 ფაზა ანაზღაურდება გადაშვადებულ პერსონალთა რაოდენობის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს დანართი №1-ით განსაზღვრული ღირებულებისა.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს მიწოდებლის მიერ ფაქტურად გაწეულ მომსახურების წარმოდგენილი წერილობით ანგარიში და მის საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მომსახურების ხარისხის და/ან მიწოდების პირობების გაუარესების გამო, აგრეთვე მე-8 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

7.2. მიწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურები ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;

7.3. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მიწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

ბ) მიწოდებლის დროული ინფორმირება გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა აღნიშნული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა.

7.4. მიწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) განახორციელოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები ხარისხიანად და თანდართული ტექნიკური დავალების (დანართი №2) შესაბამისად;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდა და არ მოსთხოვოს შემსყიდველს სხვა არავითარი გადასახადის ან დამატებითი თანხის გადახდა

გ) მიიღოს ზომები, რათა არ დაუშვას ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული თანხების, ან აქტივების გამოყენება ძალადობის და/ან ტერორიზმის მიზნებისთვის ან ფულის გათეთრების საქმიანობების მხარდასაჭერად, და/ან იმ ორგანიზაციების მხარდასაჭერად, რომლებიც მხილებულნი არიან ტერორიზმის ან ფულის გათეთრების საქმიანობაში.

დ) მიწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაიცვას გლობალური ფონდის (დონორის მიერ პერიოდულად განახლებადი და გლობალური ფონდის ვებ-გვერდზე <http://www.theglobalfund.org/en/documents/governance/> განთავსებული) „მიწოდებლების ქცევის კოდექსი“ და ასევე უზრუნველყოს მისი გაეცნობა ქვეკონტრაქტორებისთვის (არსებობის შემთხვევაში).

8. პირგასამტებლო

8.1. მომსახურების განხორციელების დანართი №1-ით (მომსახურების განხორციელების გეგმა-გრაფიკი) განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ

კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით იხდის პირგასამტეხლოს მიმდინარე ფაზის მთლიანი ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2. ხელშეკრულების მე-6.1. პუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

8.3. საჯარიმო თანხის ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს ოდენობით დაფიქსირების შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვსთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

8.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.5. იმ შემთხვევაში, თუ მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებას ან/და შესრულებელი ვალდებულების ჯამური პირგასამტეხლო დაფიქსირდება 8.3. პუნქტში მითითებული განაკვეთის ოდენობით მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

8.6. მიმწოდებელი ვალდებულია ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაკისრებული პირგასამტეხლო გადაიხადოს წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ფასები

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ფორს-მაჟორული გარემოებები

10.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

10.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

გ) ეპიდემიები;

დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

10.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

10.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

10.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებული არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

10.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

10.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჭერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

10.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდე გონივრულ ვადებში.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შემსყიდველმა და მომწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ორგანიზაციაში.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.3. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.

12.2. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობით 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე აცნობოს აღნიშნულის თაობაზე. ხელშეკრულების შეწყვეტას უნდა გააჩნდეს ობიექტური დასაბუთება.

12.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

12.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ასევე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

13.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

13.3. მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

13.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

13.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

13.6. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

13.7. ხელშეკრულების ერთი ვგზემპლარი ინახება „მომწოდებელთან“, ორი - „შემსყიდველთან“.

13.8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

14. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

სსიპ - ლ. საცვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

იურიდიული/ფაქტიური მისამართი:

ქ.თბილისი, მ. ასათიანის ქ. №9

ს/კ №211324351

სახელმწიფო ხაზინა

ბ/კ №TRESGE22

ა/ა №GE 24 NB 0330 1002 0016 5022



პაატა იმნაძე

გენერალური დირექტორის
მოადგილე/გლობალური ფონდის
პროგრამების დირექტორის მ.შ.

„მომწოდებელი“

ა(ა)იპ „ჯანმრთელობის კვლევის კავშირი“
იურიდიული მისამართი:

ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ.№8,

ს/კ 204977230

ელ. ფოსტა:

healthresearchunion@gmail.com.

ტელ: (+995) 322144447;

სს „თი ბი სი ზანკი“

ბ/კ № TBCBGE22

ა/ა № GE90TB0600000035700952



მაია ზუნაშვილი

დირექტორი



ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AID, Tuberculosis and Malaria) დაფინანსებული „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფა“ პროგრამის ფარგლებში მომსახურების (CPV80561000 - პროექციული მომზადება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში) შესყიდვა - ტუბერკულოზის მომსახურების განხორციელებაში ჩართული სამედიცინო პერსონალის გადამზადება ტუბერკულოზით დიაგნოსტიკურულ პაციენტებში აივ ინფექციაზე ტესტირებასა და კონსულტირებაში.

ტუბერკულოზი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება როგორც მსოფლიოში ასე საქართველოში. მიუხედავად ტუბერკულოზის მართვის კუთხით მიღწეული წარმატებისა, საქართველო კვლავაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა, რაც ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გაძლიერებას, პაციენტზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვას, პროგრამული დაფინანსების ზრდასა და მართვის მექანიზმების სრულყოფას უკავშირდება. ტუბერკულოზი ხშირია აივ-ინფიცირებულ ადამიანებში, ვინაიდან ამ ჯგუფს იმუნოდეფიციტის გამო ინფექციებისადმი ადვილი მიმდებლობა ახასიათებს. 2011-2013 წლებში 1,440 ახლად დიაგნოსტიკურულ PLHIV-ს ჩაუტარდა სკრინინგი ტუბერკულოზზე, და აქტიური დაავადება 252 შემთხვევაში (17.5%) იქნა გამოვლენილი. ტუბერკულოზი სიკვდილის წამყვანი მიზეზია PLHIV-ებში, და დღესდღეობით ის მოსახლეობის ამ ჯგუფის სიკვდილის შემთხვევების საერთო რაოდენობის 21 %-ს შეადგენს.

მნიშვნელოვანია აივ-ინფექციის ადრეული დიაგნოსტიკის უზრუნველყოფა ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში აივ-ინფექციის მაღალი ალბათობისა და მკურნალობის არადაამაკმაყოფილებელი შედეგების მაღალი რისკის გამო.

ამდენად, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი გეგმავს განახორციელოს მომსახურების შესყიდვა ქვემოთ მოყვანილი პროექტის განსახორციელებლად შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის დაფინანსებით მიმდინარე „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფა“ პროგრამის ფარგლებში - ტუბერკულოზის მომსახურების განხორციელებაში ჩართული სამედიცინო პერსონალის გადამზადება ტუბერკულოზით დიაგნოსტიკურულ პაციენტებში აივ ინფექციაზე ტესტირებასა და კონსულტირებაში.

პროექტის სპეციფიკური ამოცანებია:

1. სასწავლო მასალის გადამზადება/განახლება 23.07.2010 217/ო ბრძანების შესაბამისად, ვინაიდან ტუბერკულოზით დიაგნოსტიკურულ პაციენტებში აივ ინფექციაზე ტესტირებისა და კონსულტირების საჭიროებას განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 23.07.2010 217/ო ბრძანება აივ ინფექცია/შიდსის რუტინული ეპიდზედამხედველობის მეთაოდური რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ;

2. ტუბერკულოზის მომსახურების განხორციელებაში ჩართული სამედიცინო პერსონალის გადამზადება ტუბერკულოზით დიაგნოსტიკურულ პაციენტებში აივ ინფექციაზე ტესტირებასა და კონსულტირებაში

პროექტის სამიზნე პოპულაცია ქვეყნის მასშტაბით: ტუბერკულოზის მომსახურების განხორციელებაში ჩართული 150 სამედიცინო პერსონალი, რომელთა შორის 76 არის რეგიონებიდან. ტუბერკულოზით დიაგნოსტიკურული პაციენტები მიეკუთვნებიან მაღალი რისკის ჯგუფს აივ ინფექციის არსებობის თვალსაზრისით. ამიტომ სისხლის ტესტირებას, როგორც ერთადერთ სადიაგნოსტიკო საშუალებას აივ ინფექციის აღმოსაჩენად, აუცილებლად უნდა ახლდეს თან როგორც ტესტის-წინა, ასევე ტესტის შემდგომი კონსულტირების პროცესი. ამ პროცესის წარმართვა უნდა განახორციელოს სპეციალურად გადამზადებულმა პერსონალმა.



მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი

31 ივლისი 2017 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (ს/კ N211324351, მისამართი: ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. N9), (შემდგომში „შემსყიდველი“), აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული ტუბერკულოზის პროგრამის მენეჯერის გიორგი კუჭუხიძის სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ „ჯანმრთელობის კვლევის კავშირის“ (ს/კ №204977230, მისამართი: ქ. თბილისი, ნუგეზიძის ქ. N8), მისი დირექტორის, მაია ზუნაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ „შემსყიდველმა“ მიიღო, აივ ინფექცია/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის 2017 წლის 22 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ GF-T/ET/S-457 ხელშეკრულების, ფარგლებში განსაზღვრული მომსახურება.

„შემსყიდველს“ და „მიმწოდებელს“ შორის 2017 წლის 22 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ GF-T/ET/S-457 ხელშეკრულების, ფარგლებში დანართი №1 და დანართი №2-ის მიხედვით განსაზღვრული სპეციფიკური აქტივობების განხორციელების ფაზა 1-ის (2017 წლის 22.06-20.07) შემდეგი მომსახურება:

- განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები;
- შემუშავდა სასწავლო

ზემოთ აღნიშნული პუნქტებით გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 2636.00 (ორი ათას ექვსას ოცდათექვსმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს მომსახურების ყველა თანმდევი ხარჯების/გადასახადების ჩათვლით; ხელშეკრულების საერთო ღირებულება 25,500.00 (ოცდახუთი ათას ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარი; მოცემული ეტაპის ჩათვლით ანაზღაურებას ექვემდებარება 2636.00 (ორი ათას ექვსას ოცდათექვსმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

შემსყიდველი:

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი


გიორგი კუჭუხიძე

აივ ინფექცია/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) დაფინანსებული ტუბერკულოზის პროგრამის მენეჯერი

„მიმწოდებელი“

ა(ა)იპ „ჯანმრთელობის კვლევის კავშირის“


მაია ზუნაშვილი
დირექტორი



ინსპექტირების აქტი

ა(ა)იპ „საქართველოს ჯანმრთელობის კვლევის კავშირი“

პროგრამის პირველი ფაზის (22.06.2017-20.07.2017) ფარგლებში გაწეული მომსახურების შესახებ

(ხელშეკრულება № GF-T/ET/S-457)

ქ. თბილისი

27 ივლისი 2017 წელი

სსიპ „ლ. საცვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ „აივ ინფექცია/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის“ მიერ დაფინანსებული „საქართველოში ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში ტუბერკულოზის პროგრამის კოორდინატორმა ნინო ჩიქოვანმა, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განვახორციელე ელექტრონული ტენდერის საფუძველზე (NAT170005196) ა(ა)იპ „ჯანმრთელობის კვლევის კავშირი“-თან 2017 წლის 22 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებით № GF-T/ET/S-457 გათვალისწინებული მომსახურების პირველი ფაზის (22.06.2017-20.07.2017) ფარგლებში გაწეული საქმიანობების ანგარიშის ინსპექტირება. ანგარიში წარმოდგენილია 18 ივლისს. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით ინსპექტირების ობიექტის მიერ დადგინდა შემდეგი:

ანგარიში წარმოდგენილია ვადებში, ხელშეკრულებით განსაზღვრული დანართების შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურება შეესაბამება მხარეთა შორის 2017 წლის 22 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № GF-T/ET/S-457 ხელშეკრულების პირობებს.

ანგარიშს თან ერთვის ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ კი

- განხორციელებული საქმიანობის სიტყვიერი ანგარიში;
- სასწავლო მასალა;
- ბენეფიციართა სია.

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით პროგრამის განხორციელების პირველი ფაზის (22.06.2017-20.07.2017) ფარგლებში გაწეული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 2636.00 ორი ათას ექვსას ოცდათექვსმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 25500.00 (ოცდახუთი ათას ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

ანაზღაურებას ექვემდებარება 2636.00 (ორი ათას ექვსას ოცდათექვსმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

ინსპექტირების ობიექტის წევრები:

ნინო ჩიქოვანი - გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამის კოორდინატორი

ნ. ჩიქოვანი

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი

18 აგვისტო 2017 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ლ. საცვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (ს/კ N211324351, მისამართი: ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. N9), (შემდგომში „შემსყიდველი“), აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული ტუბერკულოზის პროგრამის მენეჯერის გიორგი კუჭუხიძის სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ „ჯანმრთელობის კვლევის კავშირის“ (ს/კ №204977230, მისამართი: ქ. თბილისი, ნუგეზიძის ქ. N8), მისი დირექტორის, მაია ბუნაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ „შემსყიდველმა“ მიიღო, აივ ინფექცია/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის 2017 წლის 22 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ GF-T/ET/S-457 ხელშეკრულების, ფარგლებში განსაზღვრული მომსახურება.

„შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის 2017 წლის 22 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ GF-T/ET/S-457 ხელშეკრულების, ფარგლებში დანართი №1 და დანართი №2-ის მიხედვით განსაზღვრული სპეციფიკური აქტივობების განხორციელების ფაზა 2-ის (2017 წლის 21.07-18.08) შემდეგი მომსახურება:

- მიმდინარეობდა ტრენინგი, გადამზადდა 91 ბენეფიციარი
- ზემოთ აღნიშნული პუნქტებით გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 13,870.00 ცამეტი ათას რვაას სამოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს მომსახურების ყველა თანმდევი ხარჯების/გადასახადების ჩათვლით;
- ხელშეკრულების საერთო ღირებულება 25,500.00 (ოცდახუთი ათას ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარი; მოცემული ეტაპის ჩათვლით ანაზღაურებას ექვემდებარება 13,870.00 ცამეტი ათას რვაას სამოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

შემსყიდველი:

„მიმწოდებელი“

სსიპ - ლ. საცვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ა(ა)იპ „ჯანმრთელობის კვლევის კავშირის“


გიორგი კუჭუხიძე


მაია ბუნაშვილი
დირექტორი


აივ ინფექცია/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) დაფინანსებული ტუბერკულოზის პროგრამის მენეჯერი



ინსპექტირების აქტი

ა(ა)იპ „საქართველოს ჯანმრთელობის კვლევის კავშირი“

პროგრამის მეორე ფაზის (21.07.2017-18.08.2017) ფარგლებში გაწეული მომსახურების შესახებ
(ხელშეკრულება № GF-T/ET/S-457)

ქ. თბილისი

18 აგვისტო 2017 წელი

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ „ივ ინფექცია/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის“ მიერ დაფინანსებული „საქართველოში ტუბერკულოზის ცველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში ტუბერკულოზის პროგრამის კოორდინატორმა ნინო ჩიქოვანმა, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განვახორციელე ელექტრონული ტენდერის საფუძველზე (NAT170005196) ა(ა)იპ „ჯანმრთელობის კვლევის კავშირი“-თან 2017 წლის 22 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებით № GF-T/ET/S-457 გათვალისწინებული მომსახურების მეორე ფაზის (21.07.2017-18.08.2017) ფარგლებში გაწეული საქმიანობების ანგარიშის ინსპექტირება. ანგარიში წარმოდგენილია 17 აგვისტოს. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით ინსპექტირების ობიექტის მიერ დადგინდა შემდეგი:

ანგარიში წარმოდგენილია ვადებში, ხელშეკრულებით განსაზღვრული დანართების შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურება შეესაბამება მხარეთა შორის 2017 წლის 22 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № GF-T/ET/S-457 ხელშეკრულების პირობებს.

ანგარიშს თან ერთვის ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ კი

- შუალედური ანგარიში ტრენინგის მიმდინარეობის შესახებ;
- ტრენინგზე დასწრების ფურცელი.

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით ტრენინგი გაიარა 91 ბენეფიციარმა, რის შედეგადაც პროგრამის განხორციელების მეორე ფაზის (21.07.2017-18.08.2017) ფარგლებში გაწეული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 13,870.00 ცამეტი ათას რვაას სამოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 25,500.00 (ოცდახუთი ათას ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

ანაზღაურებას ექვემდებარება 13,870.00 ცამეტი ათას რვაას სამოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

ინსპექტირების ობიექტის წევრები:

ნინო ჩიქოვანი - გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამის კოორდინატორი

ნ. ჩიქოვანი

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი

12 სექტემბერი 2017 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (ს/კ N211324351, მისამართი: ქ. თბილისი, შ. ასათიანის ქ. N9), (შემდგომში „შემსყიდველი“), აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული ტუბერკულოზის პროგრამის მენეჯერის გიორგი კუჭუხიძის სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ „ჯანმრთელობის კვლევის კავშირის“ (ს/კ N204977230, მისამართი: ქ. თბილისი, წყნეთის ქ. N8), მისი დირექტორის, მაია ბუნაშვილის სახით (შემდგომში „მიწოდებელი“), ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ „შემსყიდველმა“ მიიღო, აივ ინფექცია/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში „შემსყიდველს“ და „მიწოდებელს“ შორის 2017 წლის 22 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ GF-T/ET/S-457 ხელშეკრულების, ფარგლებში განსაზღვრული მომსახურება.

„შემსყიდველს“ და „მიწოდებელს“ შორის 2017 წლის 22 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ GF-T/ET/S-457 ხელშეკრულების, ფარგლებში დანართი №1 და დანართი №2-ის მიხედვით განსაზღვრული სპეციფიკური აქტივობების განხორციელების ფაზა 3-ის (2017 წლის 18.08-11.09.2017) შემდეგი მომსახურება:

- მიმდინარეობდა ტრენინგი, გადაზხადდა 44 ბენეფიციარი
- ზემოთ აღნიშნული პუნქტებით გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 6706.77 ექვსი ათას შვიდას ექვსი ლარი და სამოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარს. მომსახურების ყველა თანმდევი ხარჯების/გადასასაღების ჩათვლით;
- ხელშეკრულების საერთო ღირებულება 25,500.00 (ოცდახუთი ათას ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარი; მოცემული ეტაპის ჩათვლით ანაზღაურებას ექვემდებარება 6706.77 (ექვსი ათას შვიდას ექვსი ლარი და სამოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარი.

შემსყიდველი:

„მიწოდებელი“

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ა(ა)იპ „ჯანმრთელობის კვლევის კავშირის“



გიორგი კუჭუხიძე



მაია ბუნაშვილი

აივ ინფექცია/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) დაფინანსებული ტუბერკულოზის პროგრამის მენეჯერი

ინსპექტირების აქტი

ა(ა)იპ „საქართველოს ჯანმრთელობის კვლევის კავშირი“

პროგრამის შესამე ფაზის (18.08.2017- 11.09.2017) ფარგლებში გაწეული მომსახურების შესახებ

(ხელშეკრულება № GF-T/ET/S-457)

ქ. თბილისი

12 აგვისტო 2017 წელი

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ აივ ინფექცია/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის“ მიერ დაფინანსებული „საქართველოში ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის შევრადობის უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში ტუბერკულოზის პროგრამის კოორდინატორმა ნინო ჩიქოვანი, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განვახორციელე ელექტრონული ტენდერის საფუძველზე (NAT170005196) ა(ა)იპ „ჯანმრთელობის კვლევის კავშირი“-თან 2017 წლის 22 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებით № GF-T/ET/S-457 გათვალისწინებული მომსახურების შესამე ფაზის (18.08.2017-11.09.2017) ფარგლებში გაწეული საქმიანობების ანგარიშის ინსპექტირება ანგარიში წარმოდგენილია 31 აგვისტოს წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით ინსპექტირების გეგმის მიერ დადგინდა შემდეგი:

ანგარიში წარმოდგენილია ვადებში, ხელშეკრულებით განსაზღვრული დანართების შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურება შესაბამეა მხარეთა შორის 2017 წლის 22 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № GF-T/ET/S-457 ხელშეკრულების პირობებს.

ანგარიშს თან ერთვის ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ კი

- საბოლოო ანგარიში ტრენინგის მიმდინარეობის შესახებ;
- ტრენინგზე დასწრების ფურცელი.

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით ტრენინგი გაიარა 44 ბენეფიციარმა, რის შედეგადაც პროგრამის განხორციელების შესამე ფაზის (18.08.2017-11.09.2017) ფარგლებში გაწეული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 6706.77 ექვსი ათას შეიდას ექვსი ლარი და სამოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარი.

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 25,500.00 (ოცდახუთი ათას ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

ანაზღაურებას ექვემდებარება 6706.77 ექვსი ათას შეიდას ექვსი ლარი და სამოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარი.

ინსპექტირების გეგმის წევრები:

ნინო ჩიქოვანი - გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამის კოორდინატორი

6. ჩიქოვანი